

დროშა

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს ბარდა.

„დროშის“ რედაქცია — სიმონსონის ქუჩაზე, ნა-
ზარვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
მხოლოდ თბილისის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редак-
цію „Дроша“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით —
8 მ.; 9 თვით — 7 მ. 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით —
6 მ.; 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 4
მ.; 3 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

ფასი განტანად: სტრუქტურული რედაქცია გან-
ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებ-
ზედ. ინტერესებსაც თითოეულ ნაწილს შეეცე-
ბოუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდავლ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.

ცალკე ნაშრომები „დროშისა“ ღირს 5 კაპიკით.

დაიბეჭდა და ისეიღება ყველა თბილისის წიგნის მაღაზიაში თ გიორგი დბეითის ძის ქრისტეაშვილის თბილისში

წიგნი შეიცავს 594 გვერდს. მხატვრობის დასაწყისში არის დარ-
თული პორტრეტი პოეტისა, ლეიბციხში გაკეთებული. იქვე არის მკი-
რე შესავალი თ. აკაკი წერეთლისა და ვრცელი ბიოგრაფიული
და კრიტიკული შემეცნება ი. მეუნარგიასი.

შასი წიგნისა
თბილისში 2 მ. გაგზავნილი 2 მ. და 40 კ. საგანგებოდ გაკეთე-
ბულის კალენკარის ყლით.

მოკლეს დროში წიგნი გაიგზავნება ქუთაისში და ყველა საქარ-
თველოს უეზლის ქალაქებში, საცა წიგნების ვაჭრობა არის.

მალაქიად წიგნის დაბარება ამ ადრესით შეიძლება: **Тифлисъ.
Въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова.**
(10—3)

წიგნებს არ ჰკითხულობდნ. მე ჩემის
მხრით შემოძლიან დაემატებოდნ ეს იმით,
რომ ბევრჯერ უარი მითქვამს წიგნე-
ბის მიხედვით სოფლის დედებისათვის,
რადგანაც მათი შესაფერი წიგნები არა
მქონია და ვერც სასულირად მიშო-
ვია, შრთი მასწავლებლის ბ. შიჭინაძის
წერილიდანაც ნათლად სჩანს — თუ
როგორი სურვილი აქვს ხალხს კი-
თხვის და წიგნებს კი ვერ შოულობდნ.
ღროა, ვგონებ, შევუდგეთ ამ წმინდა
საქმეს და პატარ-პატარა სასარგებლო
შენიშვნებისა და პედაგოგიური ბრო-
შურების კითხვით გაუფხვანთ ჩვენს
ხალხს კითხვის გემო, განსაკუთრებით
ჩვენს მომავალ დედებს, რომლებიც
კისკერხედაც არის დამოკიდებული ჩე-
ნი მომავალი თაობის ბედი და უბე-
ლობა და, მამასადამე, ჩენი სამშობლო
სიც, რომლის დედა-ბაძს და შეურ-
ყველს ბურჯს ნორჩი თაობა შედ-
გენს.

ადილი არ გავხსნებათო. ამ საგანზედ
ლაპარაკი ვერ კიდევ არ ვათავებულა.
ღღეს სალამოზედ იმავე ზალაში და-
ნიშნულია მეორე სხდომა კომისიისა
და კომიტეტისა.

== შურნალს «იმედში» იბეჭ-
დებოდა „საქართველოს მოკლე
მატიანე“ მოსე ჰანაშვილისა. ეს
მატიანე შურნალში არ დასრულებუ-
ლა და, როგორც შეეცყეთ, ავტო-
რი შესდგომია ამ მატიანეს ცალკე
წიგნად ბეჭდვას.

== შრთი გამოჩენილი ავაზაკი კი-
დეე მოუკლავთ მაისის 9-ს, ღამე
მხურგეთის მახლობლად. ეს ავაზაკ-
კია ივანე მამულაიშვილი, რომელსაც
ბრალდებოდა ჩამღწიმე კაცის ცელა
და ვაჭარცვა სიკვდილის წინაღ, შირ-
სის 5-ს, მას თურმე გაუცარცვავს ერ-
თი აჭარელი კაცი რომელსაც
მხურგეთში აჭარადამ ჩამორეკილი
საქონელი გაეციდა და 450 მანათი
მიჰქონდა შინ. შექველია, ამ ამბავს მამუ-
ლაიშვილს შინაური ავაზაკები შეატყა-
ბინებდნ. მამულაიშვილი მოუკლავთ
მხურგეთის ტყის-მცველის ყარაულებს
ბიორგი ლომინაძეს და მახტანგ მალა-
კაძეს. ჩვენ გვწერენ, რომ მამულაი-
შვილი ხომ ავაზაკი იყო, მაგრამ იმის
სახელით ავაზაკობას ბევრი სხვანაც
ჩადიოდნო.

მე ხმ აზრით მსურს გავთქვ „დრო-
შის“ შემწეობით ვუძღვნა ჩვენს დე-
დებს კვირაში თითო პედაგოგიური
წერილი შეიღების აღზრდის და მო-
ვლის შესახებ.

მინაშრი პრონია

== მკითხველს ესმდება, რომ ჩე-
ნის სათავად-აზნაურო სკოლის პრო-
გრამის შესამუშავებლად და იმის გა-
მოსარკვევად, თუ რა გზას უნდა დად-
გეს ეს სკოლა, წრეგანდელ საზოგადო-
წლიურ კრებაზედ ამორჩეული იყო
კომისია, რომელმაც ამ სკოლის კო-
მიტეტთან ერთად უნდა განიხილოს
დაწერილებით ეს საქმე და თავის მო-
საზრება ერთის თვის განმავლობაში
წარუდგინოს საგანგებოდ თავ-მოყ-
რილს საზოგადოებას.

ხუთშაბათს სალამოზედ მოხდა კრე-
ბა წერა-კითხვის საზოგადოების „ზალა-
ში“ კომისიისა და სკოლის კომიტეტი-
სა, რომელზედაც დაესწრნ ბევრი
ჩენი პედაგოგები და სხვა ამ საქმის
თანამგონი პირნი. შემოველეს ბა-
იმ აზრს ადგა, რომ, რაკი კლასიკური
სისტემა უმაღლესი სასწავლებლების
კარებს გვიხსნის, ისა სჯობს ამ სისტე-
მას დაეადგეთ, მხოლოდ ჩვენს სკო-
ლას არავითარი მნიშვნელობა არ ექ-
ნება, თუ ყოველი ღონისძიება არ
ვიხმარეთ და იგი სრულ კლასიკურ
გიმნაზიად არ გადავაკეთეთო. ამ უკა-
ნასწერელ მოსაზრებას იმაზე აფუძნებ-
დნ, რომ ჩენის სკოლიდან გადასე-
ლა გიმნაზიებში ოცში ერთს თუ შე-
უძლიან, რადგან ვაკანსიები ცოტაა
და თუნდა კიდევ ევაშენი კარგად
დაიჭირონ, მაინც ამ მიზნის გამო-

== ახალ-ბოროდამა გვწერენ, რომ
მაისის ექვსს იქ დაცემულა ქადაგად
ერთი 12 წლის ქალი, რომელსაც
ცხრა დღის განმავლობაში ლუკმა არ
უნახავს. ეს ქადაგი თურმე სულ გაღე-
ვის ოქრო-კარბანის გაცარცვანდ
ლაპარაკობდა და ამ ბოროტ-მოქმედე-
ბას აბრალდდა ამავე ცკლესიის გამგე-
ბელთ სხვათაშორის წარმოეტქვა,
ვითომ ნაცარცი ხატის წინათი ერთ-
ღრუ მუხამი იყოს დამალული, და-
ნიშნულ ალაგას. მაისსაცდელად ერთ
ღამეს წასულან ახალ-ბოროდამ რამ-
დენიმე კაცი, უბოგნათ ხსენებული
მუხა, რომელიც ახლად გამოჭრილი
ყოფილა და მიწაც არმინ-ნახევარზედ
ამოთხრილი. ნიეთები იურმე ვერა
უბოგნათ-რა, თუმცა ვცუბობდა, რომ
აქ უნდა ყოფილიყო უწინ შენახუ-
ლი. მწერენ ამასთანაუ, თუმცა
ძნელი დასაჯერებელია, ვითომ ქადაგ
„სტაროსტისთვის“ დაებრალბინოს ამ
ცკლესიის გაქურდვა და უმინებულ
სტაროსტას ეთქვას, თუ მე დამიჭერენ
და დამკარგენ, ხუთიც სხე დაიკარ-
გებო; ვითომ ამ ლაპარახედ მამა-
სახლისიც იქ დასწრებოდა და რა-
პორტით მოეხსენებინოს მამის უფ-
როსისათვის და სხე და სხე.

== მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს ხალხს
თან-და-თან ემატება კითხვის სურვილი.
იშვითად ნახავთ ახლა ისეთ სოფელს
ჩვენში, რომ რამიმე გავთეს ან ქურ-
ნალს არ იწერდეს ჩამოდენიმე პირი
და ამას გარდა სხვა-და-სხვა საკითხავ

== მახეთის ჩრდილოეთით, პანკისის
ხეობაში, არიან დასახლებულნი 1854

აღაზოგოვირი შენიშვნა

ღილი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც
ჩვენში, როგორც იქმნა, მიაკციეს ჯე-
როვანი ყურადღება იმ წმინდა და სუ-
ლიერ საქმეს, რომელსაც აღზრდას
და წარმატებას ეძახიან. ეს რამოდენ-
იმე თვეა, რაც დადგება ერთი პე-
დაგოგიური ჟურნალი, სადაც მომბ-
ლებს და აღმზრდელებს შეუძლიანთ
იპოვნონ განიერი დარიგებანი და
სწავლანი მათდამი მინდობილ წმინდა
მოვალეობის აღსასრულებლად. თუმ-
ცა კი სასიამოვნო იქნებოდა ამდენ
ხანსაც დაბადებულყო ჩვენში ერთი
რამიმე პედაგოგიური ჟურნალი, მაგ-
რამ ჩენი ახალ-გაზდა მასწავლებლები
იმ გვარი უსასოგო თვლით მესცქე-
რიან ამ საქმეს, რომ არამც თუ ილ-
ტვიან ამ აზრის განსახორციელებლად,
არამედ იქამდის დაზანტდნ, იქამდის
მოიბურნენ ესრედ წოდებულ ქართვე-
ლური სიზარმაცის ნისლით, რომ ცალ-
კე პატარ-პატარა ბროშურებს და შე-
ნიშვნებსაც არა სთარგმნიან უცხო
ენებიდან და მათის შემწეობით არ
ავრცელებენ ჩენს უმეტეს წა-
წილად გაუნათლებელ დედებში იმ
რიგად აღზრდის და განვითარების
წესსა, რომელსაც განიერი პედაგოგია
მოითხოვს. ჩენს დედებს არ აქვთ
ლონისძიება თავიანთ შემზობელს წა-
ბამან პედაგოგიურად შეიღოს აღზრ-
დაში, რადგანაც ჩენი ვითომ განათლე-
ბული დედები სასიზრჯნოლოდ სთვლიან
თვითონ შეიღების აღზრდას (თითქო-
ამას მართლა განათლება ითხოვდეს).
არ აქვთ ისეთი სახელმძღვანელო წიგ-
ნები, რომელთა წაკითხვაც შეეძ-
ლოთ.

შვილის აღზრდა ჩვენში თითქმის
ისევ ისე მიდის, როგორც ამ რამო-

წლიდგან მისტები, რომელნიც თუმცა უწინ ქრისტიანულად მონათლულნი იყვნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისევ გამაჰმადიანდნენ. მხოლოდ თურმე შ. ზაურთაყვისა და ადგილობრივი პრისტაის მეცადინეობით, პრისტის 20-ს და 21-ს, მოუწათლავეთ ამ ქისტთაგანნი. 34 სული ორივე სქესისა, სხვათა შორის, 40—50 წლისანიც. სხვებელი ორი პირი ძალიანა ცდილობდნენ თურმე ქრისტიანობის ხელახლად გაერკვლებას ამ ხალხში, რომელსაც ერთი რიგიანი ეკლესიაც არა აქვთ თურმე.

== მაისის სიცივეებს სამეგრელოც ძალიან დაუზიანებია. სიცივეებს თან სეტყვაც (კონი) მოჰყოლია და ბაზა, კიტრი, ნესევი, ლობიო სულ ერთიანად გაუფუჭებია. ეს ყველაფერი ახლად დასათესი შეიქმნა თურმე.

== ჩვენი ქალაქი განათლებულთაში სდებს თავს, მაგრამ ბევრი ისეთი უბნებია, რომლებშიც შეიარაღებულნი უნდა შეხედდეს: თუ იარაღით არა ჯობით მაინც, თუ აღამიანების მოსაგერებლად არა... ძაღლების მოსაგერებლად მაინც... ამ ეხლაც ერთი პირი შემოგვიჩივის, რომ მთაწმინდაში, ნაგორის ქუჩაზე, ტიხანოვის სახლები უნდა მეღონა და ამ სახლთან იმდენი ძაღლები დამეხვივნენ, რომ ტიხანამოსი-სრულებით შემომამფრინესო. ძარგი კიდევ ერთი ღელა-კაცი მომეშველა, თორემ შენი მტერი—ჩემი საქმე იქნებოდაო. მივაქცევთ ამ საგანზედ ყურადღებას, იმ დაწესებულებისას, რომლის ვალიც არის ქალაქზედა და მის მცხოვრებლებზედა მზრუნველობა.

„დროებას“ კორესპონდენციები

სოფ. ჯიხარიში, მაისის 1-ს. ჩვენ სოფელში 25 ივლისს 1876 წ. განსვენებულ ბ. ლობჯინიძის თარსობით გაიხსნა გამსესხებელ შემნახველი ამხანაგობა. იწყო თუ არა ამხანაგობამ თავისი მოქმედება, მაშინვე წვერებად 310 პირზე მეტი ხეწერა და ამხანაგობის ყოველსავე საქმეში მონაწილეობა მიიღო. ამხანაგობისათვის საჭიროა გამგეობა და რჩევა; გამგეობა მოვალეა რიგიანად წაიყვანოს ამხანაგობის საქმე; გაასესხოს ფული იმ წესზე და იმ რიგად, როგორათაც ამას ბანკის წესდება თხოულობს; თვალყური უნდა ადევნოს, რომ მსესხებლებმა თავ-თავის დროზე შემოიტანონ ნასესხი ფული; რჩევის წვერებს კი მიწოდებოი აქვთ ამხანაგობისაგან, რომ მათ წვერებად მიიღონ იმისთანა პირნი, რომელნიც საიმედოანი და სანიღისიანი არიან, და თუ სარგებლობას არ მოუტანენ ამხანაგობას, ხარალს მაინც არ მისცემენ. ამხანაგობათ ხშირად იმისთანა წვერებიც მოხედება ხოლმე, რომელნიც ვალს თავის დროზე არ იხდიან. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, სამმართველოს წვერებს

საშუალება უნდა აღმოუჩინოს ადგილობრივმა მთავრობამ. ამას ჯერ თვითონ საქმე და სიმართლე მოითხოვს და მერმე თვითონ წესდებაც, რომელიც უმაღლესი მთავრობისაგან დამტკიცებულია. წესდების ძალით მთავრობამ შეიძლია დღის განმავლობაში უნდა დააკმაყოფილოს უსათუოდ ბანკი, თუ რომელსავე მსესხებელს თავის დროზე არ შემოუტანია ბანკში ნასესხი ფული და თუ ამაზედ ბანკის გამგეობამ აცნობა ადგილობრივ მთავრობას და სთხოვა მას საშუალების აღმოჩენა. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ადგილობრივი მთავრობა ამას არ შეეგნება. გამგეობის წერილი ს. ლ. ჩამდენჯერმე მისულა ადგილობრივ პრისტათთან, ს. ლ.—მესთან და უთხოვნია მისთვის, რომ ჩვენი ბანკიდან ზოგიერთა წვერებმა ფული ისესხეს, თავის დროზე არ შემოაქვთ და გთხოვთ შემწეობა აღმოგვიჩინოთო. პრისტავს ს. ლ.—მის თხოვნაზედ ყურადღება არ მიუქცევია. შორეულად და მესამე ჯერაც გაუმეორებია თხოვნა გამგეობის წერს ს. ლ.—მეს, მაგრამ არაფერი არ გამოსულა ამ თხოვნიდან და ბოლოს თავი დაუწებებია. ჩვენი აზრით, ამისთანა უყურადღებობა არ არის მოსაწონი და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისეთს სასარგებლო დაწესებულებას, როგორც არის სასოფლო ბანკი, ადგილობრივმა მთავრობამ თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია და გულ-გრილობა გამოიჩინა, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საზოგადოებაც გულ-გრილად დაუწყებს ტყერას მას. ეს ამხანაგობა დიდ შეღავათს აძლევს სოფლელებს: ისინი ხელს ადვილად ინაცვლებენ, თავისუფლად მიდიან ბანკში და ხუთ-ექვს თუმანს უდავიდარაბოდ სესხულობენ მცირე სარგებლით. ეს ამხანაგობა, რომ არ ყოფილიყო შემდგარი, გაჭირვებული გლეხი რომელსავე მეტატანესთან უნდა მისულიყო, ორი-სამი დღე უნდა ხეწნოდა და, ვინ იცის კიდევ, ასესხებდა თუ არა ფულს. თუ ასესხებდა კიდევ, —სარგებელსაც გვაჩიან ბლომად გამოართმევდა. თუ წვერმა ნასესხი ფული თავის დროზე არ შემოიტანა ბანკში, ამითი, რასაკვირველია, ბანკს ზარალი არ მიეცემა, რადგანაც წესდების ძალით ჯარიმას ახდევინებენ მსესხებელს ვადაზედ ფულის შემოუტანლობის გამო.

აქედან მხოლოდ ის წარმოსდგება, რომ დანარჩენი წვერნი თავის დროზე ფულს ვერ იშოვნიან და ამ ნაირად ხელის-მონაცვლება ცოტა არ იყვეს, გაუჭირდებათ. აი, ამისათვის საჭიროა —ადგილობრივმა მთავრობამ, კანონისამებრ, აღმოუჩინოს საშუალება ბანკის სამმართველოს წვერებს ვადაზედ ფულების შემოუტანლობის საქმეში და ფულის გარდახდევინებაზედაც შეეწიოს.

ბანკის წარმოება, ესე იგი ფულების აღებ-მიცემა კვირაში ერთ საქმედ ღელს იმართება. —ღარსებდებანვე ბანკის კასა, წიგნაკები, ქაღალდები, და სხვა-და-სხვა საჭირო ნივთები მღ. ლ. ჩომახიძის სახლში ინახება, რომელიც

მ. ჩომახიძემ უსასყიდლოდ ათხოვა საზოგადოებას. მღ. ჩომახიძე არის სამმართველოს წერი და მართავს ბანკის საქმეს აგერ მერვე წელიწადია. ბანკის მოსათავსებლად მღ. ჩომახიძის მეცადინეობით და შრომით ჩვენ სოფელში აშენდა ორ-სართულიანი ქვის სახლი; აქვედა სართულში ბანკი იქნება და ზედა სართულში კი სკოლა უნდა გაიმართოს. მღ. ჩომახიძეს ძალიან კარგად ესმის-რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-განათლებლასა. ამიტომ თავის ხარჯით ააშენა სასკოლო სახლი. ის თვითონ ასწავლის ვაყებს და ქალებს. ამ სასწავლებელს სოფლელები ეძახიან „უსასყიდ-ლას“, რადგან ამ სკოლაში მათი შეილები უფასოდ იზრდებიან. მღ. ჩომახიძის სასწავლებელი არსებობს აგერ 33 წელიწადზე მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ იქნება. „უსასყიდ-ლა“ სკოლა უნახავთ აღრინდელ სახალხო სკოლების დირექტარს და თვით მისს უსამღვდელოესს იმერეთის ეპისკოპოსს ბაბრიელს, მაგირდები გამოუტლიათ და კიდევაც დაუსაჩუქრებიათ. გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობას შეუძლიან ნივთიერად დიდი შემწეობა აღმოუჩინოს მომავალს სასწავლებელს. ამხანაგობას შეუძლიან ჩამდენიმე ნაწილი იმ მოგებიდგან, რომელიც მას წლის დამლევს ურიგდება წლის ფულის დავარად, სასწავლებელს შესწიროს. შევლა ეს მაშინ მოხერხდება, რასაკვირველია, როცა ბანკის საქმე კარგად და დაუბრკოლებრივ იწარმოებს და როცა ადგილობრივი მთავრობა დაეხმარება მას ყოველ გვარად.

ჩვენ ნამდვილად შევიტყუთ, რომ ბანკის ამხანაგობა აპირობს თხოვნას, სადაც ჯერ არს, რომ ადგილობრივმა მთავრობამ, კანონისამებრ, ამისთანა საზოგადო საქმეში ხელი მოუწყოს და მოუშარტოს მას.

ამხანაგი გ. გო—ვა.

სოფ. შაშიანი (ძახეთი) მაისის 5-ს. დილის 8 საათი იქნებოდა, მხეც კარგად ამოსული იყო, როდესაც შემომესმა შარა-გზიდგან ერთი ყვირილი—სმაურობა; მაშინათვე გავიხედე შარა-გზაზე და ვნახე, რომ მამასახლისს გამოუყვანია ხალხი ბეგარაზე გზების ვასაკეთებლად. ხალხი უსიამოვნოდ, ზოლანით მუშაობდა და ზოგიერთი კიდევ ამბობდა: „რა დროს მოიგონეს ე ბეგარა, თავად გუშინაც მოეცლინენ ამში მუშაობას, ე რაღაც ტყუილ-უბრალოდ უქმეები მოიგონეს: ეს სეტყვის უქმეო, ეს კონის უქმეო, ჩვენში კი ბევრს ჯერ არცკი მაგვი-სარამს, —არც კი მაგვიყვლინია ვენახე-ბია. მამასახლისი ცალკე დასწყობდა ხალხს: აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, როგორც კარგად გააკეთებთ გზას! ავე ხეაღე-ხეაღე-ხეაღე, საცაა გუბერნატორი მობდანდება და გზა თუ გაკეთებული არ დაუხვედრეთ, ხომ იცით, მე მომხედებია! —ეი გზას კი ვაკეთებულს დაუხვედრებთ, მამასახლისო, გაიძახოდა ხალხი, მაგრამ ჩვენ რომ

სათხოვნილი გვაქვს, ის კი უთხოვრად უნდა აგვისრულოს...“


მამასახლისმა ალარ დააცალა ხალხს თავიანთ თხოვნაზე ელაპარაკნათ, გაგზავნა იქით, საცა ვაფუჭებული გზა იყო და მე მხოლოდ მასუკან გავიგე, თუ რა უნდოდა ხალხს ეთხოვნა გუბერნატორისთვის.

მათ უთხოვნიანთ, რომ ბოლოზე, პატარა ტყეში ნება მიეცა ისევ უწინდებულად საქონელი შეერეკნათ საძოვრად, რადგანაც საკუთარი საძოვარი მიწდებები არა აქვთ და ეს პატარა ტყე კიდევ თითონ გაუზღიათ თავიანთ მიზომილს საკუთარ ადგილებში, სადაც საქონელს უშვებდნენ და ჰკვებავდნენ. მხოლოდ არ იციან, რა მიზნით აუკრძალა ტყის მცველმა ეს ტყე, როდესაც აქამდის თავისუფლად სარგებლობდნენ. ზოგნი ითხოვდნენ, ნება მიეცათ, რომ ჭიგო, შეშა და ფიჩხი გამოეტანათ სახელმციფო ტყიდგან, ზოგი სოფელი კიდევ ჩიოდა—მთა ჩვენ არა გვაქვს და ბარიო; უწინ, რაც ტყეები გვეკუთნოდა და გუჯარით ახლაც შეგვიძლიან დავამტკიცოთ, რომ ახლაც ჩვენ საკუთრებას შეადგენს, სხვებმა დარისკუთრეს და ჩვენ აღარ გვიშვებენ შიგაო; თუ შევიანარებთ და მოგვატანეს, ვაი მაშინ ჩვენ ღღესაო. ცემას ხომ აღარ დასჯერდებიან, რაც რამე გვექნება, იმასაც წაგვართმევენ ხოლმეო. მსეთ მდგომიარებაში ვართ და გთხოვთ გვიშვლოთ რამეო. ზოგნი სათავადო გლეხნი სთხოვდნენ მიწების შესყიდვას და სხვა...

შემთხვევა ნებას მაძლევს აგიწეროთ ჩვენი გლეხების მდგომიარობა. ჩვენი გლეხები განიყოფებიან ორ-ნაწილად: ერთი სახელმწიფო გლეხები და მეორე საბატონო ანუ სათავადონი. პირველი, ე. ი. სახელმწიფო გლეხებს ყველაფერი საკუთარი აქვთ, მთა და ბარი, საკუთარი სახანე-სათესი ადგილ-მამული. მხოლოდ ტყისათვის, რადგანაც ტყის-მცველის მფარველობის ქვეშ არის, იხდიან რამდენსამე გარდასახადს. საბატონო გლეხები, სულ სხვა რიგად არიან: ამათ არც სახანე-სათესი აქვთ საკუთარი და არც ტყე. თუ მოჰხნავენ საბატონო მიწას, უნდა ღალა ვაღიხადონ, ე. ი. ერთი მეოთხედი გამოსავლისა ბატონისა და დანარჩენი სამი მეოთხედი კიდევ გლეხისა. ტყეში შესულა მოუწდება კიდევ ან ჭიგოს მოსაჭრელად ან შეშა-ფიჩხისა, უნდა თავადი შეიღისაგან აიღოს ბილეთი...

რასაკვირველია, საბატონო გლეხებს ის უნდათ, ერთხელევე შეისყირონ ადგილები, სახანე-სათესი მიწები, რომ დღიურში კოდი, კოდ-ნახევარი პური არ აძლიონ და კიდევ ორ-სამ დღეს არ უშველონ ხოლმე მამულის პატრონს.

სადღაა ის უწინდელი უშველებელი ტყეები, საიდგანაც გამოქქინდათ ფოქრის სახლის აშენებისთვის ყოველ გვარი მასალო? როგორც მოსწრებულნი, მოხუცნიც ამბობენ, —იქ, სადაც ამ იცოიღე წლის წინად უშველებელი ტყე იყო, ახლა ჯაგების მეტს



ვერასა ნახეთ... მერე რანაირი ზარალი მოიტანა ასეთმა ტყეების გათხელებამ? უწინ, ღილი ტყეების დროს, არც ესეთი სიცივე ყოფილა ძანეთში, ვენახებიც იშვიათად ისტყეებოდა და საზოგადოდ კარგი მოსავალი სცოდნია. ახლა? ახლა სადღა ის უწინდელი გულ-უხობა, როდესაც ჩვენ გლეხებს მარანში ქვევრები ღვინით საესე ჰქონდა, ორმოცი ბურით საესე, გულიც მაგარი და ყველას მტერსაც და მოყვარესაც გულადად დაუხელებოდა ხოლმე. ბატყა ტყეები, გამოიცივლა ჰაერი და მოსავალმაც უმტყუენა ჩვენს კახელებს. ბაზაფხულობით სეტყვა ესტუმრება ხოლმე ამათ ვენახებს, ზაფხულში კიდეც ვალე.

ჩვენს გლეხებს ვერც სეტყვის უქმობამ უშველა რამე და ვერც კახის უქმობამ. ნეტავი მორწყვა მინც შიშობდნენ მინდვრებისა. ძანეთში ხშირია პატარა ხეები, მაგრამ ზაფხულში ესენიც დაშრებიან ხოლმე. მღ. ალაზნისა და ის ხომ სულ უსარგებლოდ მიმდინარეობს. აქამდის ვერ მოახერხეს არხით ალაზნიდან წყლის გაყვანა და მინდვრების მორწყვა.

ალაზნის ველი რომ ირწყვებოდეს, რანაირი პლანტაციები გინდათ, რომ აქ არ გაიმართოს. რამდენ რიგად ისარგებლებდა ჩვენი ხალხი! ჰველაფერს მოიყვანდნენ აქ და სასყიდელი თითქმის არაფერი ექნებოდათ. მაგრამ სად არის კაცი, მოთავე, რომ ამათ მალეში ჩაეარდეს და აღძრას სურვილი ხალხში ალაზნიდან არხის გამოყვანისა? თუ ვერც არხი გამოიყვანეს და არც ტყეებს გაუფთხილდნენ, თქვენ მტერს დაემართოს, რაც ამათ მომავალში დაემართებათ. არა ერთი და ორი გლეხისაგან გამოვიანა: „რაც ეს «ლესტინობა» შამოვიდა და შავიკრეს ტყეები, უფრო და უფრო უშუღდება ტყეა; უწინ, როცა თავისუფლად შევდიოდით ტყეში, კიდეც ვუფრთხილდებოდით, რაც საჭირო იქნებოდა, მოგვრიდით და გამოვბრუნდებოდით, — ახლა კი, რადგანაც აკრძალულია, ბილეთით რომ შევალთ ტყეში, რაც საჭიროა ჩვენთვის მოვჭრით, რაც არა და სულ გაჯავრებული გადავკაფავთ, ტყუილ-უბრალოდ ვაფუჭებთ ტყეა...“

იმედია, რომ ამ სავანს მიაქცევენ ყურადღებას და რიგინად თვალ-ყურს დაიჭერენ ტყეზე, რომელზედაც დამოკიდებულია თითქმის ჩვენი ძანელების ბედ-იბადალი.

თამაზ კახელი.

რუსეთი

— მაისის პირველიდან დაიწყო წარმოებას კანონი, რომლის ძალითაც მცირე-წლოვან მუშებს ქარხნებში სამუშაოდ შედგენილი მიეცემათ: ბავშვებს, რომელნიც 12 წლისანი ჯერ არ არიან, სრულდებით ნება არ ექნებათ ქარხნებში იმუშაონ, და ვინც 12 წლიდან 15 წლამდეა, ისინი ღლეში რვა საათზე მეტი არ უნდა

ამუშაონ და სამს საათს მინც სწავლაში უნდა ატარებდნენ.

— ტომსკის საბჭოს უცნაური საჩივარი დაუწყია: ეს უჩივის «სიმბირის გაზეთს», რომელსაც ერთს წერილში უხმარია შემდეგი ჭრახა: „ტომსკის მცხოვრებლებს გულის მაგიერად სილენძის შაურაინები აქეთო“.

— მოსკოვის საადგილ-მამულო ბანკში აპრილის 30-ს აღმოუჩინათ, რომ ბანკი მოუტყუებიათ და შეცდომით მიუტყემინებიათ 127000 მან. შარშან ერთს შარშანეის მცხოვრებელს ვილაც ბელიაევს დაუფრავებია ამ ბანკში მამული, რომელიც ვითომც შსმანის მარაში იმყოფებოდეს და ეკუთვნიდეს მოვაკრეს ღვინს, — ნასყიდობის წერილში ყოფილა ესე ნაჩვენები. ამ ბელიაევზე ეჭვი ვერ აეღოთ, რადგანაც აღრეც ჰქონია აღებული სესხი სხვა-და-სხვა გირაოებით და ამასთან ამ ბანკის მოსკოველი აგენტი იცნობდა მას თურმე, როგორც პათიოსან კაცს. სესხი მიუციათ იმ დაფასების თანახმად, რომელიც მიღებული არის ამ ადგილისთვის (ნორმალური დაფასებით) — ნახევარ წლის შემდეგ კიდეც უთხოვნია დამატებითი სესხი ამავე ღვინის მამულზე, რადგანაც ამ მამულში ვითომც ღილი საშენებელი ტყე ყოფილიყოს, — ამის დასამტკიცებლადაც ქალაქები წარმოუდგენია. დამატებითი სესხიც მიუციათ, ასე რომ სულ 127000 მან. შემდგარა. როდესაც ბანკს განკარგულება მოუხდენია, რომ პატრონს აპრძალოდა ამ ტყის ხმარება, აღმოჩენილა, რომ ეს მამული სრულდებით არა ყოფილა ხსენებულ ადგილს და არც ღვინი არსებობდა თურმე, — ქალაქები სულ ყალბები გამოდგარა. ამ შემთხვევის შემდეგ საქმეები გადაუთვალისწინებიათ და ერთს საქმეშიაც ეჭვი შესულან, ვითომც მოტყუებით იყოს ნახსენი 50000 მან. ასე რომ ჰფიქრობენ, ვითომც უნდა იყოს შედგენილი დასი, რომელიც ამისთანა საქმეებსა სხადიოდეს და იქნება მალე სხვა ბანკებშიაც აღმოჩნდეს ანაირი მოტყუება. ბელიაევი და ბანკის მოსკოველი აგენტი დაუტუსალებიათ.

— სახელმწიფო რჩევებში წარდგენილი იყო პროექტი, რომლითაც სამრეწველო და სააღმშენებლო შემოსავალს სამი პროცენტი ხარჯი უნდა დასდებოდა. ამ პროექტში მრავალი ცვლილება შეუტანიათ და მომეტებული ნაწილი პროექტისა სრულდებით არ მიუღიათ.

— მალე შეიქმნა იმპერიაში შეცვლილი იქნება, როგორც ცხებებისა, აგრეთვე ქალაქების და სამაზრო პოლიციის მმართველობა. როგორც ამბობენ, შეუთმუშავებიათ კიდეც ახალი პროგრამა ქალაქებში და მაზრებში მომსახურე პოლიციის მოხელეების უფლებებისა და მოვალეობისა.

— ჩოგოე მრეშისა სიტყვით, ხალხთა განათლების სამინისტროს გადუ-

წყვეტია მმართველობითი სინოდის შემწევობით სასწავლებლებისთვის სახარების გამოცემა, რომელიც ისე იაფად უნდა იყიდებოდეს, რომ უუღარბეს სკოლებს შეეძლოთ მისი ყიდვა.

— როგორც ვახეთ «მოსა» მეტყვია, ქალაქების საბჭოთა და გამგეობათა მოვალეობა უნდა გაცალკევებული იქნეს. ზამგეობაში თავს-მჯდომარედ ქალაქის თავი იქნება და საბჭოს თავს-მჯდომარე ამორჩეული უნდა იყოს ერთს წლით ხმოსნებ შორის. საბჭოს ხმოსნებს აკრძალული ექნებათ ყოველივე ოჯარის აღება, რაც კი ქალაქის ეკონომიურ საქმეებს ეკუთვნის. ზამგეობას აღარ ექნება მინიჭებული ვაჭრობის უფლების მოწმობების მიცემა. რადგანაც ხმოსნები იშვიათად დადიან კრებებზე და ამ გარემოებას ცუდი გავლენა აქვს საზოგადო საქმეებზე, ამიტომ ფულის გაზრმა დაედებათ იმ ხმოსნებს, რომელნიც კრებებზე არ ივლიან.

— მკითხველებს ესამებათ, რომ ხარკოვის-ნიკოლაევის რკინის გზის სტანციაზე, «პოლტავაზე» მუშებმა უარი სთქვეს მუშაობისა და ამის გამო შეტაკებაც ჰქონდათ პოლიციასთან. მხლა, ვახეთების სიტყვით, ხანგრძლივი უმუშაობის შემდეგ დაიწყეს ისევ მუშაობა ძველ პირობებზე და ისევ ძველის უფროსის ხელმძღვანელობით. მაგრამ ზოგიერთი მუშები დღემდინაც არა მდომულოდენ მუშაობას და უსაქმოდ ყოფნას რჩევიდნენ ძველი პირობების აღსრულებას. ზამოციება არის დანიშნული იმის შესატყობად, თუ რა იყო მიზეზი მუშაობის «სიკრპისა» და აგრეთვე მოთაფების აღმოსაჩენად.

— ზამოვიდა ახალი წესდება, შესახებ ექიმების დანიშნისა საექიმო აკადემიაში, რომ საექიმო საგნები და ხირურგია უფრო კარგად შეისწავლონ. ექიმები ორის წლით დარჩებიან კურსის გათავების შემდეგ აკადემიაში, ხირურგებისთვის ცალკე კურსები იქნება დაწესებული; იმ პირობით, რომელნიც კარგად შეითვისებენ საგნებს, მოწმობები მიეცემათ აკადემიიდან. ამ ორის წლის განმავლობაში ექიმებს უნდა დღიური ფული ეძლიოთ. ის ექიმები, რომელნიც გზის ფულს და დღიურს მიიღებენ, მოვალენი იქნებიან სამი წლიწადი იმასხურონ სახელმწიფო სამსახურში.

— პეტერბურგში ლაპარაკობენ ეხლა, რომ მალე ყველა გენარლებს, რომელთაც სამსახურისთვის დანიშნული ვადა შეუსრულებიათ, მიეცემათ წინადადება სამსახურიდამ გასვლისა ბენსით და ემერიტურით. ამისთანა გენერალი ეხლა 300-მდინ თურმე არის.

— რადგანაც პეტერბურგში უსრავი მამული გაიფრებოდა, ბევრს იქაურ სახლის პატრონს შეუტანია თხოვნა საკრედიტო დაწესებულებებში, რომ-

ლებშიაც სახლები აქვთ დაჯირითული, რომ დააცლონ დასაწყისად წლის შეტანა. იქაურ ვახეთებში ყოველ დღე მრავალი განცხადება იბეჭდება, რომ ესა და ეს სახლები ისყიდებო. თუ ამ დაწესებულებათ მართოლა არ დააცლოეს ფულის შეტანა, ბევრი სახლები დარჩებათ გაუყიდავი, რადგანაც იმ ფასდაც აღარაინა ყიდულობს, როგორც დაგირავებულები არიან.

— მ. ბუზულუკში შემდეგი შემთხვევა მოხდა: ვილაც ლ—ნს უკანონოდ უცხოვრია სამის წლის განმავლობაში ერთ გასათხოვარ ქალთან, მ. ნ—სთან, რომელიც დარსულეობულა კიდეც. ლ—ს ქალის მოკვლა მოუწოდებია, ცოლიც მიუმხრია თავისკენ და წასულა იმ ქალთან თავისთან მოსაწვევად. ძალი გაჰყოლია. რომ მოსულან სახლში, ცოლ-ქმარნი მისცივიან საცოდავ ქალს, დაუტყნინათ სარდაფში, თითონ კი წასულან და პატარა ხანს უკან საიდანაც მოუყვანიათ ორი ყმაწვილი ვაკი. სახლის კარები ჩაუტყნინათ თმებით ამოუთრევიათ საბრალო მსხვერპლი სარდაფიდან, დაუწყვიათ ცემა და რამდენსამე ალაგას დანითაც დაუტყრიათ. ამ დროს ქუჩაში ხალხს გაუფლია და გაუგონია სახლში ხმაურობა. მივარდნია კარებს, მაგრამ ჩაკეტილი დახლომია. საცოდავს ქალს სისხლში-განსერილს მოუხერხებია ფანჯარასთან მისელოა, მაგრამ დაკეტილი დახლომია. მტარვალები მისცივიან ხელმეორედ ქალსა, მაგრამ ფანჯარას ვერ მოუშორებიათ. ამ დროს ერთ რკინის გზაზე მომსახურეს გაუფლია, ფანჯრის გაღება მოუხერხებია და დაუხსნია საცოდავი ქალი ამ აფაზაკებისაგან. უკანასკნელნი დაუტუსალებიათ, მაგრამ მეორე დღესვე გამოუშვიათ. ქალი მძიმე ავადყოფია თურმე.

საუბრები

(„ჩინდილოეთის სააგენტოსი“) მაისის 17.

პატივპატივი. გზეთები იტყობენებია, რომ არზათა მიდების გომისის გაქეძება სრულიად გადასწყვიტა სახელმწიფო რჩევამ თავის უკანასკნელს სნდომაზედ; ამასთანავე თამასეკების ახალი წესდების განხილვაც გადიშვა სახელმწიფო რჩევის მომავალ სესიამდინ.

მოსაოპი. წუნელ-დამ გარდაიცვალა აქ პროტესტორად ნამყოფი, ნათეცი ვეილი ლოზვიცკი.

ლონდონი. სახმრეთ აჭრიკიდამ ტელეგრაფით იწერებია, რომ ბოერებმა ზუფუსების მეფედ დასვეს დინზულა, შვილი გარდაცვალებული მეფის სეტტივიანისი.

პარიში. საფრანგეთის მმართველობამ გადასწყვიტა მადგასკა-



რზედ ეწერგულად იმოქმედოს; მისის 8-ს ადმირალმა ლიომ ჩაბარა უფროსობა ხმელეთის და ზღვის ჯარებისა, რომელნიც ჰავსების წინააღმდეგ იგზავნიან.

მისის 18-ს, ადმირალმა ლიომ ჩაბარა უფროსობა ხმელეთის და ზღვის ჯარებისა, რომელნიც ჰავსების წინააღმდეგ იგზავნიან.

ამბროსი. „ნოვოე ვრემის“ სიტყვით თურქესტანის კომისიას სხვათა შორის განუზრახავს: გააძლიეროს გადასახლება თურქესტანში შიგნით—გუბერნიებიდან, გააუმჯობესოს ეკონომიურად ადგილობრივი ხაღის ცხოვრება, გამართოს საქონლისათვის საწყობი ადგილები, შეამუშავებინოს სხვადასხვა მინერალური სიმდიდრე და რკინის გზები გააკეთებინოს.

ლონდონი. როდესაც გერცოგი კემბრიჯისა დევრში მოვიდა დაბრუნდა ერთი საეჭვო პირი, რომელსაც რევოლუციური უპოვნეს.

გაზეთის „ჰოლ-მოლ“ კვანყყებს, რომ ბრიტანის კაბინეტმა წინადადება მისცა პორტს გაგზავნოს 15,000 კაცი სუდანში, რომელსაც პორტა დასთანხმდა.

კონტინენტის ეგვიპტის საქმეების თაობაზედ ივნისის 23-ს შესდგება.

ბმრლინი. ის ხმები, ვითომც იმპერატორის ვილჰელმის ჯანის სიმართლე შერყეულიყოს, ტუენლი გამოდგნენ. გეშინ იმპერატორმა ცხენით დაათვალიერა ბერლინის გარნიზონის ჯარები.


განცხადებანი

სომხის სასულიერო სემინარიის წესისიანის სამზრუნველო რჩევაში

მაისის 30-ს
სალამოს 8 საათზედ იქნება
გაჭრობა (ტობგი)

ზანუშეორებლად (უბერტორკოთ) იჯარით გასაგზავლად, იმ მამულისა, რომელიც სემინარიას ეკუთვნის და შესწირა განსვენებულმა არუთინ მჭოვემა რიყეზედ № 44. პირობების ნახვად შეიძლება სამზრუნველოს კანცელიარიაში ყოველ-ღვე, გარდა კვირისა და უქმ-ღვეებისა, დილის 10 საათიდან შუადღის 12 საათამდე.

ინგლისური ჩაინის პარატაზი



ქრისის საწოლი 7 მანეთიდან და ორის საწოლი 14 მანეთიდან, მათი ლეიბები, ზღვის ბაღახით გატენილი 5-

დას 8 მანეთადინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის მუტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქი, საქაჭი, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაღნასი, დასადგმელი, შირის-სახანი, სტაქნი, სუფოკნი, საწყაო, სკები, რიუტები, გრაფინები, საქაშური თიფები, ბლუდები, სასალათოები, ტაშტები, საძმეკები, სამარილები, გაჩნის-ციის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალირები, სლისტები, ტანის-მოსის დასაგლელები, საბაღო მანკატ-ლები, გაქსები, უთოები, წისკელები, სკრები, ქაღები, კლიტები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბაჭები, ზა-რიალები, კაშნიულები, საფანტები, ნიჩ-ბები, გატრბზები, საბნები, ჩუქლები, წინდები, სუფრები, სალქტებისათვის რგოლები, ემლიანი ჭურჭელი, მურა-ბები, გამფტები, შიკულები, სო უსები, ზღვის ბაღახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მალაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს უფრადლება მიაცქიეთ. (100-8)

ინგლისის მათაზია

Maison de confiance	
შუადარეო ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 მ.	1 მ. 40 მ.
— 1—20	— 1—60
— 1—40	— 1—80
— 1—60	— 2—
— 1—80	— 2— 50

საუკეთესო 2—, 3—, 4—, 5—, 6—, 7—, 8—, 9—, 10—, 11—, 12—, 13—, 14—, 15—, 16—, 17—, 18—, 19—, 20—, 21—, 22—, 23—, 24—, 25—, 26—, 27—, 28—, 29—, 30—, 31—, 32—, 33—, 34—, 35—, 36—, 37—, 38—, 39—, 40—, 41—, 42—, 43—, 44—, 45—, 46—, 47—, 48—, 49—, 50—, 51—, 52—, 53—, 54—, 55—, 56—, 57—, 58—, 59—, 60—, 61—, 62—, 63—, 64—, 65—, 66—, 67—, 68—, 69—, 70—, 71—, 72—, 73—, 74—, 75—, 76—, 77—, 78—, 79—, 80—, 81—, 82—, 83—, 84—, 85—, 86—, 87—, 88—, 89—, 90—, 91—, 92—, 93—, 94—, 95—, 96—, 97—, 98—, 99—, 100—

გამოვიდა და ისყიდება:
განაიციხული.
მოხრობა
პ. მ. მანსუბარძის (ვაზბეგის) ფასი ათი მანური.
ისყიდება: თბილისში, «ღროების» რედაქციაში და შვერლოვის წიგნების სააგენტოში.
ქუთაისში. შილაძის მალაზიაში.
თელავში. ბ. როსტომაშვილთან.
ფოთში. ბ. ხუბარაძის მალაზიაში.
(20-4)

სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლე ეძებს
გაბეითლს;
ქალაქ გარეთაც გაყვება, აღრესი «ღროების» რედაქციაში. (10-6)

განაცხადებანი
ქახური ღვინის მოღვაწისათვის
სხლად მიჰელთ დიდი პარტია შპარლისა და წინანდლის საუკეთესო ღვინე-ბისა. ისყიდება პარტით და წკრილად: ზოთლი 15 კაშ.—1 მან. თუნგი 60 კაშ.—3 მან.
შოღვალი იმყოფება კვლამინარკის ქუჩაზედ, ღვინეებისა ქვეშ, წინამძღვაროვის შენობაში.
(2-1)

გამოვიდა შპრალი

მეგრისი

პარილის წიგნი № IV.
შეიცავს შემდეგ შინაარსს: I ლულია (რომანი) ჟორჯ-ნანდისა, თარგ. კ. ბ. შრისთაფისაგან, II. ასეა და რა ექნა? (ლექსი) კ—სი, III. საქართველოს მეფის-ძე რადამისტ—მეფე სომხეთისა და ტრაველია კრებილიონისა ჯ-სი, IV. პედაგოგიური მოსაზრებანი (ნოვათია) №№ II და III) მ. ნასიდისა, V. ქართველთა ძველი ცხოვრების ყველი წმ. ქვეყანაში და სინაის მთაზე—სიტყვა თქმული პროფესორის ბ. ბ. ტავარელის მიერ პალესტინის საზოგადოების სტრომაზე 30 დეკ. 1883 წ. VI. შინაური მიმოხილვის მაგიერი, VII. დამატება ივერიისა: მასალა ისტორიისათვის. შემოკლებითი აღწერა საქართველო-სა შინა მცხოვრებთა თეატლო და აზნაურთა გვარებისა.

ინგლისის მალაზიაში
მ. ბ. ს. ა. მ. დ. ე. გ. ა. ნ. ი.
ამგრებს თმის და აღჩინდელ
ფერს აძლევს, ფასი ერთი მუ-
შისა 2 მან., გაგზავნიით 2 მან-
ნეთი და 28 კაშ.
(100-29)



მაზანდა
ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-
ლისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელ-
დახელ 16 მისიდან 1 ელისამდე
1884 წ.
გამომცხვარი პური რუ-
სეთის ფეკილისა — 1 გრ. 5 კ.
აჭურის ფეკილისა: პირ-
ველის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2
მეორისა — 1 გ. 2 მ.
იმავე ფეკილ. თარსში გამომცხვარი:
პირველი ხარისხისა — 1 გ. 4 1/2
მეორისა — 1 გ. 3 მ.
მესამისა — 1 გ. 2 1/2
ჭკარის-მაში პური:
პირველი ხარის. ლავში 1 გ. 4 1/2
მეორის ხარის. ლავში 1 გ. 3 1/2
მესამისა — 1 გ. 3 მ.
ძრახის ხარისა:
პირველის ხარისხისა — 1 მ. 9 მ.
მეორისა — 1 მ. 8 მ.
სესკი — 1 მ. 16 მ.
ცხვრის ხარისა — 1 გ. 10 მ.
ღორის ხარისა:
პირველის ხარისხისა — 1 გ. — მ.
მეორისა — 1 გ. — მ.

ჩაინის ზუა
თბილისიდან ქუთაისისკენ შიღის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდან მარტო ხამურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდან ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდან თბილისისკენ
12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდან ბათუმისა და
ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. დამით.
მარტო ხამურიდან მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(მაჩსკეობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დამ.)